

# ნიანა

ISSN 0132-6015

12-85

ქვეყნული  
ბიბლიოთეკა

ლოთობა ნებაყოფლობითი სიგიჟეა.

სენეკა

ყოველი ავი სიძთვრალეს მოაქვს.

სყლობან-საბა

არაყი თეთრია, მაგრამ ცხვირს ანითლებს და  
სახელს აშავებს.

ჩეხოვი



ნან. ბ. ლომიძისა






შენ მოიყვან ცხრა მაისს, გაზაფხულს არ დაუცდი, თავზე ქუდი თუ გსურავს, კაცს თუ გული გერჩის!.. საძმოს სასაფლაოსთვის სომ არ გაჩნდა შუქურად შორეული ქერნი?!

რა არ ნახეს ყირიმის გამომწვარმა ლოდებმა!.. მცხე მგონია, იქვე ვარ და იმ ლოდებს ვზიდავ!.. ტირილი და ყვირილი, ვედრება და გოდება სიმფონიად იფრქვევა თითქოს ორი ზღვიდან!..

თუ ხარ მართლა ფრთოსანი, ფრინდი-ფრინდი, მწყურჩიტავ, შუაგულს ბრუნვაში ანთებული ფიცის, ზეთისხილის რტოსავით მომიტანე ქერნიდან ერთი ღერი უღვაში დაკარგული ბიძის!



თანბრად - ვინდაც ყოფილიყავ სოფლის მეზობე, ან გზის გაჭრაში შენ რაც უნდა წელილი გდებოდა, - დღეს ერთნაირად შევცქეროდით დაღამებამდე, პური და ღარდი ბარათებით გვირიგდებოდა!.. გვომეტრიას იმ წლებსისას მაინც დაუნატრია, იქა მაქვს სიყრმე წანამქერილი ბურუსის ფარდით!.. ჭვავის ხშირადი ოთხკუთხედი მანსოვს თვალნათლივ, თვალნათლივ მანსოვს სამკუთხედი უმარკო ღარდი!..



ჩემი ომი

წარმოიდგინეთ, ჩემი ომი მაქვს, - იგი დაემთხვა ბავშვობას ჩემსას!.. ვხედავდი: დედა წინდებსა კემსავს და ვითვისებდი ამ პანტომიმას. ერთხელაც „პურზე სავსედ ვიყავით“ და დეიდასთან მომისდა წასვლა. უცებ მოვარდა ძლიერი თავსხმა, თუმცა ხშირად კი გავიყავი,

დამიღბა გზაში მისი ნატეხი, - მოვარდა მსხვილი სეტყვა რკოსავით და მომავალი „ღიმიე მგოსანე“ თავდაცნილული სახლს მივაფრქვი!.. როდესაც დგება ეამი სექცემბრის, შავი ღრუბული წამოცოცდება, - ასე მგონია, ის დრო ცოცხლდება და სადაც არის, დავისეტყვები!.. იმ დღეს ვიხსენებ ისევ მე გრძნობით, რომ გამომწვარა სული კინაღამ!.. სსოვნაში სეტყვის მარცვლებს ვინახავ, როგორც სხეულში - ტყვიებს მებრძოლი!

აღლუშვი

მოდის კოლონა. თითო-ორილა ლოზუნგი მოჩანს. ფრიალებს დროშაც, თმაჭაღარა კაცს, ქვეულს არაკად, მოაქვს პროტეზი, როგორც პროტესტი სისხლისღვრისადმი, ზიზღიც მტრისადმი, როგორც მართყენი, შვიდი ქართველი ამშვენებს ქუჩას. ამ შვიდ ობოლზე შუბის ტარს ბლუჯავს სამშვიდობო მზე. ვანლაუთ ობლები, ვისი მშობლებიც დაეცნენ ომში და მათი დროშით მოდიან მწყობრად და არა - ობლად!

1945

გიფორიაქებს ისევ შავ აზრებს მიღამო - კვამლით ანახრჩოლები!.. სახრჩობლები დგანან შარაზე, როგორც სიკვდილის ხარაჩობი!..

აქ აუშენეს ომის ღმერთებმა სიკვდილს სასახლე უდიადესი, რომლის ფანჯრებშიც სული ენთება ათი ათასჯერ სუთი ათასი!..

ღონი და პირამიდონი

შოგახსენებათ, ღონი დიდი მდინარეა. გაზაფხულზე გავა-თავისუფლეთ როსტოვი გერმანელებისაგან. ფრიცები კისრისტებით გარბოდნენ და ღონში ცვოდნენ. ჩვენც მდინარეში ვიჭერდით და ტყვედ მოგვყავდა სველ-სველი ტანსაცმ-ლით, სციოდათ და კანკალბდნენ. ერთი ფრიცი აკანკალებული ხმით ბატალიონის კომისარს სთხოვდა: ავად რომ არ გავს-დე, პირამიდონი მომეცითო! გამახსენდა ქართული ანდაზა: „კაცს თავს სჭრიდნენ და - მოწუკი არ მატყინოთო!“ ამ შემთხ-ვევის გამო ჯარისკაცები ასე მღეროდნენ: Хороша весна у Дона, — фрицы просят пирамидона».



ზემდევის „რაში“

სამხედრო ნაწილში ყველგან პყავთ ზემდევი. ჩვენც გვყავ-და ზემდევი ოგანზოვი. სურსათის მოწოდება რომ გადავიღებოდა, გულით უნდოდა, ემოვა ვირი ან ცხენი. ვხედავთ, მოუყვანია უკუ-ლო დაჭრილი ცხენი. თუ შაშხანას არ გაისროლიდა, ცხენი ფეხს არ

გადაადგამდა. სროლისა ეშინოდა, რადგან დაჭრილი იყო და სიმ-წარე ახსოვდა. ზემდევი ცხენს შეაბამდა, ატუნდა სროლას და ცხე-ნიც დაიძვებოდა ადგილიდან. სამზარეულოდანაც სროლით მოკ-ქონდა პროდუქტი. ტყვია-წამალს კი მოფრთხილება უნდოდა. ზემ-დეგს აუკრძალეს ასე სროლით ცხენის წყევან-წამოყვანა, არადა, ცხენი სროლის გარეშე ფეხს არ გადაადგამდა. ზემდეგს რაღა უნდა ელონა. ადგა და ცხენი სამ-კურნალოდ გაგზავნა, სურსათს თვითონ ეზიდებოდა ზურგით. ამ ამბის გამო მხი-არულმა ჯარისკაცებმა ზემდეგს ლექსი გამოუთქვეს და შესგენების დროს ბა-ლალიკაზე ამღერებდნენ. ზემდევი თვითონ-ნაც გულიანად იცინოდა. აი, ეს ლექსიც: ქერჩის სრუტე გადავლანეთ. ფრიცებს დღე ვაყარეთ ცხელი. ჩვენ ტყვეები მოვიყვანეთ, ზემდე-გმა... უკულო ცხენი.

ალექსანდრე გიორგოზიანი, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი.



ორმოცი წელი გადის!.. მოგვლით!..  
ჭიშკარს იმედის თვალით

ვუცქერით!..  
შენც დაკარგული გქვია ფრონტელი,  
შენც გქვია ერთი შინმოუსვლელი!..  
ზოგსაც ფრონტელი ჰქვია სახელად,  
ატარებს სხვების ორდენებს.

მედლებს  
და სინამდვილის უჭირს გამხელა,  
ბრძოლის ეპიზოდს ფიქრში თხზავს.  
ექვებს!..

ტყუილის გუდას თავს მოხსნის რაკი,  
ტრაბახობს, თანაც გვაჯერებს ფიცით,  
რომ ააფეთქა ცხრამეტი ტანკი,  
მოკლა, სულ მცირე, ორასი ფრცვი!..  
გვიყვება ტყუილს, თან ისე მარჯვედ,  
ლამის დაეწეროთ მის „ღვაწლზე“

ტომის.  
თანაც გვამადლის, რომ გავიმარჯვეთ,  
თითქოს მარტო მან მოიგო ომი!..  
ზოგი, ვითომდა იყო მზვერავი,  
და ბაქიბუქით სუყველას იკლებს:

თითქოს ბრძოლებში სჯობდა  
ვერავინ.

თითქოს ბუნკერში მიუხტა  
პიტლერს!..

ზოგს თავი ისე უჭირავს მალა,  
თითქოს ის იყო ჯარის სარდალი!..  
მამავ, ძალიან ძნელია ახლა,  
რომ გააჩიო ტყუილ-მართალი!..  
არის პირიქით (ეს ყველას სწამდეს!)  
ჩვენ ვიცით კაცი, გმირი ნამდვილი,  
ვინც ბრიოლის ველზე დაიჭრა

სამჯერ.  
არც ამბობს, თუა ომგადახდილი!..  
ვიგონებთ ომის ყოველგვარ  
წვრილმანს

და ეს არც ისე გასაკვირია,  
რომ ერთი გვერა: ტყვიების წვიმას  
ვინც გადაურჩა, ყველა გმირია!  
ომის ქარცეცხლი იქცა წარსულად,  
ზოგს არ სჭირდება ქება, არც ტაში  
და ბრძოლის ველზე ვინცკი გასულა,

არის გმირი და არის ვაჟაკი!  
ღედამ უშენოდ გეზარდა წვალბით,  
შენი შვილები ამაყად დავალთ!  
მამავ, ნუ დარდობ, ნუ

გებრალბით! - -  
ჩვენ მამიანსაც ვკობივართ


მრავალს!  
ზოგის შვილები „ვოლგით“ დაქრან.  
ძლივს აბრუხებენ დაბაბს ქონიანს.  
ჩვენ, ბავშვობაში რომ გვინატრია,-  
ველოსიპედიც არა გექონია!..  
გადავიტანეთ ვაება ბევრი,  
რასაც უმამო ბავშვობა ჰქვია,  
მაგრამ ნელ-ნელა ის ობლის კვერი  
ცხვა, ცხვა და მაინც გამოცხვა

გვიან!  
შენი სახელი მომავალს შვენის  
და სჯობნის ზოგის სახელს ობიანს!..  
უცხო მიწაში ღუმილი შენი  
ბევრი ცოცხალის ხმაურს სჯობია!

ზანო ცინცაძე

- შენ, გიგლა, დაჭრილი არ ყოფილხარ ხომ?
- არა, ჩემო გოგი, მაგრამ ისე...
- რა ისე?!
- თუ მომისმენთ, მოგიყვებით ერთ ამბავს!
- რას ამბობ, კაცო, ვინ არ მოგიმენს?!
- უკრაინაში, ღნებრი რომ გადავლახეთ: პატარა პლაცდარზე გავმარჯვდით. მართალია, გერმანელებიდან მოფარებული ვიყავით, მაგრამ დროდადრო ყუმბარები მაინც სკდებოდა. ასეთ მდგომარეობას თანდათან შევეჩვიეთ, გავთამამდით და მიწის ამ ვიწრო ზოლზე თავისუფლად ვგვრძობდით თავს. ერთხელ პირს ვიბანდი, წყალს ჯარისკაცი მისხამდა. უცებ მარჯვენა გვერდში რაღაც მაგარი სხეული მომხვდა. თვალები მოვიწმინდე, მიმოვიხედე, ახლო არავინ იყო. გაკვირვებული ვიდექი. ამ დროს ჯარისკაცმა მიწიდან ყუმბარის ნამსხვრევი აიღო!..
- ასკოლკა?
- კი, ნამდვილი, თანაც ცხელი. გიმნასტიორკა ავიწიე, კანი წითელი მქონდა!..
- აი, სასწაული ამას ჰქვია! ასკოლკა ისე მოგხვდა, რომ არ დაიჭერი?!
- ეებს, ჩემო გოგი, ომში რა არ ხდება!
- მართალი ხარ! პოსპიტალში რომ ვიწექი, ისეთი რამეები გავიგონე, ისეთნაირი დაჭრილები ვნახე, გაიფუება შეიძლებოდა!.. ერთ ფეხში დაჭრილს, მთელი დღე სხზე გაუტარებია. საღამოს ჩამოსულა და ასე დაულწყვია თავი, თორემ ნაღდად ტყვედ ჩავარდებოდა. ფაშისტებს რომ დაენახათ ხომ ჩიტვივით ჩამოაგდებდნენ ხიდან?
- შენ, გოგი, პოსპიტალში სად იწექი?
- ჯერ სოჭში და მერე თბილისში.
- რა გინდა, ძმაო, გაქანებული ომის დროს კურორტზე ყოფილხარ!
- სოჭში კინაღამ სული დავლიე!..
- ოპერაციის დროს?
- არა, მერე. შეიძლება ითქვას, საიქიოდან დამბარუნეს. ეს მოხდა კვირას, შაბათს კი ისეთი სიხარული განვიცადე...
- ალბათ ნაცნობს შეხვდი!

## სამანსსოვრო შენსვედრა



- არა, ძვირფასი საჩუქარი მივიღე!.. ერთიც ვნახეთ, პალატაში უფროსების თანხლებით, სამი ქალი შემოვიდა. ამთგან ერთ-ერთი - ზალარათიანი - დაწინაურდა და რატომღაც მე დამასო თვალი. მაშინ ძალიან გამხდარი ვიყავი. ყბები და თვალები ჩაცვენილი მქონდა, ქოჩორი კი - დიდი. ქალი ჩემკენ წამოვიდა და კარგად გავიგონე, თავისთვის რომ ჩაილაპარაკა: „ღმერთო ჩემო, როგორ ჰგავს ჩემს ნიკოლაის!“ ახლოს რომ მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და წიგნი მომცა.

- რა წიგნი?

- მოიგა, კაცო! მერე სხვებთან მივიდა და საჩუქრები დაურიგა, მაგრამ წიგნი ჩემს გარდა, ავარისთვის მიუცია. როცა სტუმრები გავიდნენ, წიგნს დავხედე - „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ - წავიკითხე სისხარულით. ცოტა ხნის შემდეგ პალატაში მედდამ შემოირბინა და გამოაცხადა: - დიდი ბოდიში, რომ თავის დროზე ვერ გითხარი. ქალი, რომელმაც საჩუქრები დაგირიგათ, ნიკოლოზ ოსტროვსკის დედა იყო!..

წიგნს ჩემდა უნებურად ხელი მაგრად ჩავჭიდე, თითქოს ვიღაც მიპირებდა წართმევას. მერე დღეს კი ცუდად გავხდი!..

- რა მოვივია?

- ხომ გითხარი, კინაღამ ვეთავადი-მეთქი!.. მთელი დღე კარგად ვიყავი. ვახშმის წინ წიგნის კითხვა დავიწყე, მაგრამ გული ვერ დავუდე. რაღაც სისუსტე ვიგრძენი. ექთანმა, რამდენჯერაც შემოვიდა, იმდენჯერ მკითხა, როგორ ხარო? მეც გაკვირვებული ვაპსუხობდი: არაფერი არ მაწუხებს-მეთქი! შემდეგ ექთანი, როგორც შევატყვე, სპეციალურად ჩემთვის შემოვიდა, მაგრამ მყისვე გაბრუნდა და ექიმი შემოიყვანა. ექიმმა რომ შემხედა, სახზე შეიცვალა, მომვარდა და ფეხიდან საბანი გადამაძრო. საშინელი სურათი გადაიშალა: ფეხი წითლად იყო შეღებილი და სისხლი ლეიბშიც იყო გაჟონილი... ატყდა განგამი. უცებ საკაცით საოპერაციოში გამაქანეს. ამასობაში დაღამდა კიდევ. ოპერაციის დაწყების წინ შუქი გამოირთო!.. საჩქაროდ სხვა პოსპიტალში გადამიყვანეს.

- იმავე ქალაქში?

- რა თქმა უნდა. იქ თითქმის ორი თვე დავყავი. როცა გამოვეწერე, წიგნი მოვიძიე. მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერ მივაკვლიე!..

- აფსუს, რომ არ დაგეკარგა, რა სამახსოვრო საჩუქარი გექნებოდა!

- რას გააწყობ! ალბათ ასეთი ბედი მქონია!

- გოგი, ბედს ნუ უჩივი! თავი რომ არ დაკარგი, მაღლობელი არ ხარ?

- თავი შენი კოლეგების სელში იყო და როგორც ხედავ, არ დაიკარგა!..

### გიგლა ბახტაძე

P. S. ომის ინვალდი გოგი ჯიოშვილი ახლა შრომის ვეტერანია, მაგრამ შწომას მაინც განაგრძობს. იგი თბილისის თამაქონ №1 ფაბრიკაში მუშაობს. რაც შეეხება მეორეს, იმის გაცნობა, ალბათ, არ დაკვირდებათ და იტყვიან - ვიყნობთ, ვინცა ხარო!..



(დახასრული)

არა მქონდეს. თორემ ვინმე გაიტყვევებ ამერიკელებთან და იჩივლებს, კუზნეცოვი კადრებს იბირებსო. ისევ დაიწყებენ შემოწმებას მ გამოცემებში ველთამდე ვარ სახესე. ხან „ლიტვლები“ ჩივიან კული დაგვაკლესო, ხან კოლიანსკაია დარბის დერეფნებში და გაპყვირის, რომ მის ქმარს მზევრავთა სკოლაში უფრო ნაკლებს უნდათ ვიდრე სხვებს.

— მოისმინე, კუზნეცოვი, საშარლოიანი არა ხართ შავ საცოდავი ქალის მიმართ, — სმა ამოიღო აქვე, კაბინეტში, მყოფმა ბელოცერკოვსკიმ. — მის ქმარს მართლაც არაადამიანურად მოუპყრნენ. რამდენი ხანია ატყუებენ, პირდებიან, ამერიკელ თანამშრომლებთან გაგათანაბრებთ და დოლარებს მოგცემთო. მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება.

— ამერიკელების ადგილზე შევას შაურსაც არ მივცემდი, — ჩაერთო საუბარში ახალშემოსული ფედოსევი. — მათ, ჩანს დაავიწყდათ, რომ ეს კოლიანსკი თმის შემდეგ ამერიკელთა საოკუპაციო ზონაში აყალბებდა ბენზინის ტალონებს. როცა ამისათვის ციხეში ჩასვეს, სმა აღარ ამოუღია, ახლა კი, დამისუდეთ, ისე გათავსდნენ, ფული ეცოტაებო. დაე, მაშინ დაუბრუნდეს თავის არყის უაბრიკას და რეცხოს ცარიელი ბოთლები. ვეცე ჯეიმს ბონდი გამოვივიდა, რაღა..

— სწორედ თქვენისთანების გამო, — სმა აღიმალა ბელოცერკოვსკიმ, — კარგი ხალხი ნერვულობს, ნორმალური ურთიერთობა ვერ დაუწყებია ვარშემომყოფებთან. და საერთოდ, — გამომწვევად მიანალა ბელოცერკოვსკიმ, — აქ რა გინდათ?

— აბა, აბა, ჩხუბილა გვაკლდა! — ჩაერთა კუზნეცოვი. — მოდით, მშვიდად ვიმუშაოთ, ნუ ვილანძლებით!

— როგორ უნდა იმუშაო მშვიდად და არ ილანძლო ასეთ პირობებში? — სიტყვიერი ბრძოლის ველს მოუსწრო თვით კოლიანსკაიამ. — როგორ უნდა იმუშაო და არ ილანძლო, თუ ამერიკელები თავისიანებს ნორმალურად უხდიან, სხვებს კი კაპიკებს აძლევენ? აი, ბაკლი უკვე შორე ვილას იცვლის. პირველი, თურმე, მის ცოლს არ მოეწონა!

კოლიანსკაიას ამ სიტყვებმა ყველა იქ მყოფს კუჭი აუწვა. „თავისუფლება“ — „თავისუფალი ევროპის“ თანამშრომლები, მათ შორის ამერიკელებიც, შურით შეპყრებენ „თავისუფლება“ — „თავისუფალი ევროპის“ პრეზიდენტ ბაკლის უზარმაზარ შემოსავალსა და პრივილეგიებს. ბაკლისადმი ზიზღი მართლაც გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან მიუნხენის გრიუხაულის რაიონში შეარჩია ვილა, გადააკეთა და მართო იგი საზინის ხარჯზე, შერე კი უარი თქვა იქ გადასულიყო. ამემად რადიობანდის შეთაურე ახალ „ბუდეს“ იკეთებს მავუკრინგერტრასეზე, რადიოსადგურის მანლობლად.

— ყოველგვარი სინდისი დაკარგა, — ქაქანებდა კოლიანსკაიამ. — თუ ამ ვილაზეც უარს იტყვის, მე თვითონ მივწერ ვაშინგტონში, ვისაც ჯერ არს.

— ბევრს ხომ არ ლაპარაკობთ, ლამაზო? — ოთახში, სადაც ისედაც ტყვა აღარ იყო, შემოვარდა ჩოხიანი სიფათა — ნუგუზარ შარიამ.

— ახლა დაიწყება წარმოდგენა, — წყნარად ჩაილაპარაკა პანჩინმა.

— ერთი სიტყვის დაწერასაც ვერ მოახსრებ, რომ ბაკლი კუზნეცოვისკვრით ვაგაგდებს აქედან, — განაგრძო შარიამ, და მაგიდის კიდზე ჩამოვარდა. — მე კი, იცი, მოვდივარ დერეფანში შენთან, დიკ და მესმის, რომ ვილაც გაპყვირის, ფული არ მყოფნის, მივირისო ფული არ გყოფნის? მიდი, წაიშუშავე!

— იქნებ, მიბრძანო, — დაიწვილა კოლიანსკაიამ, — შენსავით ლეკური ვიცევო ნადირაშვილის ლუქანში ბუტერბროდის გულისათვის? ანდა ყველა ლოთიფოთი საკუთარი მანქანით სახლებში ჩამოვარდო? რამდენს გინდა, რომ გამოფხიზლდებიან?

— შენ სხვა ხელობა მოგიხდებოდა, ლამაზო! — გესლიანდ გამოსცრა შარიამ, რომელსაც დილიდანვე უკვე გადაეკრა საღდაც. იგონებო რა, რომ საქმე შეიძლება ჩხუბით დამთავრებულიყო ოთახის პატრონმა კუზნეცოვმა რამდენჯერმე დაივინებით დასედა საათს და გამოაცხადა:

— მორჩა, გვეყოფა, მიტინგი დამთავრდა! სპირიდონი, წავიდეთ. ერთ ადგილზე უნდა მივასწროთ! ნუთუ დაგავიწყდა?

— როგორ თუ დამავიწყდა?! — იწყინა შარიამ, — მე სწორედ შენს წასაყვანად მოვედი. ამ დედაკაცმა კი... — შარიას თვალბში ბრაზმა გაუღვია, კუზნეცოვს მოკლედ მიუგდო, „მანქანაში გელიდებიო“, მოტრიალდა და დერეფანს გაუვდა, თან „თავისუფლებს“ მოხმობის ნიშანს უსტვენდა, რომელიც ზედის ირონიით თავის დროზე კერქენსკის დროებითი მთავრობის პიშიც იყო.

სხვა თანამშრომლებიც თანდათან დაიშალნენ, რათა მოესწროთ და პირველებს გაეტანათ ახალი ჩხუბის ამბავი.

დანიშნულ საათზე კი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კოლექციის მოლაპარაკე ტარაკნები და ობობები, ივიწყებენ რა შუღლსა და აყალბაყალს სახადლო შეხვედრებში, მიუცოდებიან სამსახურებრივ მაგიდებსა და სტუდიის მიკროფონებს და თავგამოდებით გამოყოფენ ეთერში მყარად ნივთიერებას, რომელსაც ანტი-სამშობო პროპაგანდა ეწოდება. ისინი დუღუნებენ მაღალ მარტრეზებზე, თანაც ჩაგვიჩიხებენ ჩვენ, უმეცრებს, თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებები, მორალი და უნმარი საცვალითი სუფთა დასავლური დემოკრატია. მართლაც შიმში საშუალოა, თანაც პიროვნების გაორებასთან დაკავშირებული. ხომ არ აჯობებს, ნადირაშვილმა მამა გიცხონდებო, სიმწრით თავს ჩამოხრბობს დაკარგული პეუნოვისათვის! არადა, მართალი გითხრაოთ, რისთვის უნდა შევხებოლოთ ისინი, ობობები და ტარაკნები, რომელი პიროვნებები ეგვნი მყვანან?!

### ბ. მახსიომოვი

ჩემი პატარა, ოთხმოცდაათკომლიანი სოფლიდან დიდ სამამულო ომში ასი მეომარი წავიდა, რომელთაგან მეოთხედი არ დაბრუნებულა. ამან სოფელს ისეთი დადი დაჩინა, დაწყებითი სკოლის დახურვა გამოიწვია.

I

როცა რაქა დილას ხატავს, მტანჯავს იმის შეგება, — მშობლიური სკოლის ზარი კვლავ რომ არ ირეკება!.. მეზის ნაღდი დაცემა, ძირმწარეზე მწარეა, ვამუნჯება იმ კედლების, სადაც მე მისწავლია... ვაფრთიანდა სად ვაღინა, ესო, კეჭო, ბიძინა... ინც სიცოცხლე დათმო, მაგრამ თავი არ შეირცხვინა! ვაგლახ!.. ომს რომ არ გაეკრო სხვებიც იმითანები, ვაზები კვლავ ივაზებდნენ, იყავებდნენ ყანები! ყურებს ისევ დაატკობდა მძიმე ურემთ ქოილი, შუკებს — გოგო-ბიჭუნების საშური ჭგრილი!.. ოიახ, ჩვენი ამომგდები



ხოცვა-უღელის ბრალია, რომ სდუმს თეთრი სკოლა, როგორც უჩიტებო გალია!.. არა.. სულზე უტკბეს ზევას კვლავ ვერავინ მონისლავს! — ვაშა ამ ხმას, მრავალ, მრავალ, მრავალ მილიონისას!

II

ბოღმა მახრბობს!.. მიწა ჭერაც ძველ ქრილობებს იშუშებს და კვლავ ჰქმნიან ბომბთა ახალ, ნაირ-ნაირ ნიშუშებს!.. მზა ბომბები რომ ვადიქვენ ქარებად და ღრუბლებად, — საცოდავი დედამიწა ასგზის დაიღუბება!.. ნუთუ საზიარო სახლის ერთხელ მოსრვა არ ემარა? თუ სიცოცხლის მტრებს სწადით,

მზეც ჩააქრონ თაკარა? ძილშიც შწყველი ოკენის ქვისგულიან გაღმელებს. მოსალოდნელ ცოდვის კითხვის გრძნობა რომ არ აღელვებთ! არა!.. ჩვენგან მოწმენდილ ცას კვლავ ვერავინ მონისლავს! — ვაშა ამ ხმას, მკვდრეთით აღმდგარ ოცი მილიონისას!

III

ვისაც გეჭკია ცისქვეშეთის გულმართალი მეილები, ქეით, ნაჯახით, დნით, ჩინგლით, მეკეტით თუ ფრჩხილებით, მეწარღენებს დროზე უნდა წამოეთხაროთ თვალები, თორემ ერთად ვათავადებოთ უმძიმესი წწალებით! ჰოდა... (ნავდრ ზღვასებრ ვღვლა, ბრაზით სუნთქვა მეკერება) სკოლის კარი არსად, არსად აღარ დაიკეტება! არა!.. ყოვლის მომსაბო კვამლით ცას ვერავინ მონისლავს! — ვაშა ამ ხმას, ვაშა მრავალ, მრავალ მილიონისას!

ქვეყნის ჩემპიონმა, მოჭიდავე შალვა ჩხილაძემ, 1941 წლის 7 ნოემბერს მიიღო რა საბრძოლო ფიცი წითელ მოედანზე, ფრონტს მიაშურა. ქუთაისში გაზრდილს, უაღრესი ვაჭირების ვაჟსაც კი არ ავიწყდებოდა ბალისკიდური ხუმრობები. აი, რას იკონებს შალვა თანამებრძოლი, მწერალი ვლადიმერ ალექსანძვი:

„შალვას პატივს სცემდნენ არა მარტო კაპიტან პრუდნიკოვის ათასეულში, არამედ მთელ პოლკში. ძალისა და ამტანობისათვის. მშვიდი, დიხვი ხასიათისათვის, იმისათვის, რომ მუდამ, ყოველ წუთს მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა ამხანაგისათვის. ღიმილი მოეგვარა მებრძოლებისათვის თავისი ხალასი ხუმრობით. ჩვენ, ახალგაზრდა მებრძოლები, სულსაც არ დავიშურებდით მისთვის, ვამაყობდით ცნობილ სპორტსმენთან მეგობრობით!.. იყო შემთხვევა, ძალა გამოელოდა უწყვერულვამო ჯარისკაცს. ჩიხლაძე მძლავრ მხრებზე გაიღებდა მის აღჭურვილობას, მერე საოცრად თბილი, უწყინარი ხუმრობით ისეთ ენერჯიას შთაბერავდა ქანცამოცდილს, რომ ყველაფერს დაივიწყებდა. ხშირად შალვას (როგორც ვეძახდით ხოლმე მას სიყვარულით) მხრებზე რამდენიმე ჯარისკაცის ზურგჩანთა ჰქონდა აკიდებული, მაგრამ ვითომ არაფერიო, მხნედ მიიპოვებდა, ამასთან, გემრიელი ხუმრობა და სააბო ქართული სიმღერებიც არ ავიწყდებოდა.“

ქვეყნის ჩემპიონმა  
შალვა ჩხილაძემ  
წითელ მოედანზე  
ფრონტს მიაშურა

შენვდვით, მათი სიფხიზლის ამ მოდუნებას თავისი გამართლება ჰქონდა — ბატარეის უკან უზარმაზარი სიღრმისა და ოც მეტრამდე სიგანის ხრამი გადიოდა, რომლის ორ მხარეს აერთებდა მხოლოდ წვივის სიმსხო რკინის მილი. ერთ დროს იგი, ალბათ, წყალსადენის როლს ასრულებდა. ეს მილი გერმანელებს არ ჩაუგდიათ სათვალავში. რადგან მასზე გასვლა და ზურგიდან თავდასხმა არც ერთ თავზე ხელალებულს არ მოჰვიდოდა აზრად. საკმარისი იქნებოდა ერთი წაბორძიკება და „თავზე ხელალებული“ საკუთარ ძვლებს საძებნელად გაიხდიდა!..

ფიქრის დრო არ იყო. კოტე მისობდა მილთან, მარჯვენა ხელში ავტომატი მორმარჯვა, მარცხენაში — პისტოლეტი და სირბილით შეასრულა სახიფათო ტრიუკი. გერმანელები მხოლოდ მამინ მოვიდნენ გონს. როდესაც კოტემ უკანინად დასჭყვივდა. დაბნეულებმა ჯერ ხელები ასწიეს, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ მარტოდმარტომ გაბედა მისტომ, იარაღისაკენ გააპარეს ხელი ამ დროს ბუჩქებიდან ისუპეს თანამებრძოლებმაც და ხუთი გერმანელი წინ გამოიგდეს.

— ეს როგორ გაბედეთ, ამხანაგო მეთაურო?! — ჰკითხა გზაში პირტიტველა ხაბაროკელმა, — ხომ შეიძლებოდა, უფსკრულში გადაჩეხილიყავით?!  
— შენ გავიწყდება, რომ კონსტანტინე პავლეს ძე სპორტის ოსტატია ტანგარჯიში! — უპასუხა მამაცმა მეთაურმა.

რას გადავეყარე, ვის გუთხრა, საბრძოლო დავალების შესრულება ერთი ჰეროსი უნდა ტობით დავაგვიანე-მეთქი?!“ ფიქრობდა ჭიჭიკო და თან სიცილს ვერ იკავებდა.

ერთმა მთამსვლელმა ყურებიდანაც კი დაქანა, მაგრამ ჭიჭიკომ როცა შეატყო, ნაწყენი პირუტყვი დასაყროყინებლად მოემზადა, რასაც შეიძლება მთელი ქარავანი აპოლოდა, უმალ ბრძანა, ხელები გაეშვათ ყურებისათვის. ამაზე კარგ შემთხვევას რაზმის აღმოსაჩენად და მის გასანადგურებლად გერმანელები ვერც ინატრებდნენ.

ბოლოს ერთი ახალბედა მთამსვლელი მივიდა დიდყურასთან და ცალი ბუჭით ძალუმიად უბიძგა. ის კი, აქაო-და, ეს პირტიტველა ბიჭი რას მომერვევაო, თვითონ მოაწვა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაახვეწა კიდეც. ჭაბუკმა ერთი კი გალიმა და სახედაური 180 გრადუსით შემოატრიალა, ჩაავლო აღვირში ხელი და დაეჯაჯგურა. სახედარმა ისევ „აჯობა“ და უკან-უკან იწყო დახვევა, ცოტაც და, იგი საკუთარი ფეხით გავიდა სამშვიდობოს. ქარავნის სხვა უტყუვი წევრები უფრო თვინიერები აღმოჩნდნენ და მოტყუებული წინამძღოლის გზას დაადგნენ.



გაწვიის ხილით — ხაბაროკელისაკენ

მთდათიანი წლების ქართველ ტანმოვარჯიშეა შესანიშნავი წარმომადგენლის — ქონსტანტინე ხაბალიძის პრავალ საბრძოლო ორდენს შორის ერთი-წითელი ვარსკვლავის ორდენი ასეთი საბრძოლო ეპიზოდის წარმატებით განხორციელებასთანაა დაკავშირებული:

ავსტრიის ერთ პატარა სოფელთან გერმანელთა ქვემეხმა სცადა ჩვენი ასეულის შეჩერება. ზედიზედ სკდებოდა ჭურვები, წინსვლა შეუძლებელი გახდა!.. მისი ორი მებრძოლის თანხლებით კოტემ ხოხვით გასწია მტრის ბატარეისაკენ, ცოტა და. ზემოდან წაადგნენ ხუთ პიტლერებს, რომლებიც ქვემეხის ფარს ამოფარებოდნენ და ზედიზედ გზავნიდნენ ჭურვებს ჩვენი შენაერთისაკენ. მტერთან პირისპირ შეხმა სახიფათო იყო, ქვემეხამდე 200 მეტრი იქნებოდა და ხელყუმბარასაც ვერ მიანჯვდინდნენ.

კოტეს ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: პიტლერები მხოლოდ მათ წინ გამილდ ფერდობს უთავალთვალებდნენ. ერთის



შემთხვევა მთაში

ის, ერთი შეხვებით არასაბრძოლო უჩვეულო ამბავი ჩვენს მთამსვლელებს შეემთხვათ კავკასიონის დაცვის დროს. სვანი მთამსვლელების მოხალისეთა რაზმი ტყვიაწამლით დატვირთული სახედრების ქარავანს მიაცილებდა. ის იყო, დაკიდებულ საცალფეხო ხილზე შეამდე გავიდნენ, რომ შეწინავე პირუტყვი დადგა, ფეხები გაფშოკა და ვერც სახრემ, ვერც მუდარამ და ვერც საკმაოდ უხეშმა „ბუქსირმა“ ვერ გაჭრა. ჩაიჭირდა რაზმის ხელმძღვანელი, სახელოვანი თიქიო ჩართლანი. „გოროზი მთები მრავალჯერ დამიმორჩილებია, არც გერმანელებს ვაყრი კარგ დღეს, ამას კი



— რა გჭირს, ძამო! — სიცილით უთხრა ჭაბუკს ჭიჭიკომ, — თუ ოფიცრობას და მთამსვლელობას არ ისურვებ, ცხრკში მომთვინიერებლის მატატი განადღებული გაქვს.

— ისე კი. მისგან კარგი მთამსვლელი დადგება! — დაამატა მჭორემ, — მთასთან მოჭიდავე კაცი ეშმაკი და მოხერხებული უნდა იყოს!

იმ დღეს მებრძოლებმა დროულად მიიღეს ტყვიაწამალი და ახალი ცეცხლი დაატყვეს დუბატიყებულ სტუმრებს.

მშვერავი — სტაიარი

ვლადიმერ სამსონაძე ომამდე რამდენიმეჯერ ფლობდა რესპუბლიკის რეკორდს საშუალო მანძილზე რბენაში. 1942 წელს იგი მშვერავთა რაზმს მეთაურობდა. ერთხელ მის რაზმს ცოცხალი „ენის“ მოყვანა დაევადა. ორი რვიდი უშედეგო აღმოჩნდა. მესამე ცდაზე მან რაზმი შეაჩერა საოყელ ასიტროვკასთან, რომელსაც გერმანელთა მცირე რაზმი იცავდა. იმ საღამოს ბედად ეს რაზმი ერთ პატარა ქოხში ღრუობდა. გარეთ კი დაბიჯებდა ერთი გუშავი. რომელმაც შეამჩნია მშვერავთა მოძრაობა და სროლა ატყა. გერმანელები გარეთ გამოცვივდნენ. მშვერავებმა ძალაუნებურად ყველა დახოცეს, გუშავმა კი გაქცევით უშველა თავს.

„ენა, ენა გამეცევა!“ — გაუღელა მშვერავთა მეთაურს. გუშავს ავტომატი იქვე თოვლში გადაეგდო და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. სამსონაძემ წამის შეათედში მიიღო გადაწყვეტილება — დასწოდა გაქცეულს, ვიდრე იგი თავისიანებს შიადწევდა. ცოტაც და, ნათლად გამოჩნდა გაქცეული გერმანელის ხილუკი.







ნინო ლომაძე

პარმანოვი თ ზ ი ლ ი ს ი ს ბორის ძნე-  
ლადის სახელობის პიონერთა და მოსწავლე-  
თა სასახლეში მოსწავლეთა რესპუბლიკურ  
სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე მე-  
ტად ორიგინალური და საკმაოდ რთული ნა-  
შრომით წარდგა თანატოლ შემოქმედთა და  
სოლიდური ვიურის წინაშე ქუთაისელი მოს-  
წავლე ნინო შუქრის ასული ლომაძე.  
ნაშრომის თვით სათაური — „სატერულ-

იუმორისტული ჟურნალი „ტარტაროზი“  
(1924 — 1930 წ. წ.)—მიგვანიშნებს, თუ რა დი-  
დი მოცულობისაა ახალგაზრდა მკვლევარის  
ძიების საგანი.

ახალგაზრდა მემბტიანის პირველი წარმა-  
ტება ყველაზე ძალიან ძია ნიანგს გაუხარ-  
და, რადგან მასში დაინახა თავისი გენეო-  
ლოგიური შტოს შესწავლის გაბედული ცდა,  
რომელსაც დიდი მომავალი ჰქონდა და ამ  
წინასწარგანჭვრეტაში არც შემცდარა!

შარშან, მოსწავლეთა 39-ე რესპუბლიკურ  
სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე ქუ-  
თაისის პიონერთა სახლის წევრმა, მეათე  
კლასის მოსწავლემ ნინო შუქრის ას-  
ულმა ლომაძემ კვლავ წარადგინა ახალი  
დიდგანიანი ნაშრომი — „ჭედა მტერზე გა-  
მარჯვებას“ (ჟურნალი „ნიანგი“ დიდ სამამუ-  
ლო ომში).

აღნიშნული ნაშრომი ახალგაზრდა ავტორმა  
საჯაროდ დაიცვა ქართული ლიტერატუ-  
რის სექციის სსდომაზე და უმაღლესი შე-  
ფასება დაიმსახურა.

ნინო დაჯილდოვდა საქართველოს მეცნი-  
ერებათა აკადემიის საპატიო სიგელით.

კონფერენციის საზეიმო დახურვაზე, რო-  
მელიც მარჯანიშვილის სახელობის სახელ-  
მწიფო აკადემიურ თეატრში მოეწყო, ნინო  
ლომაძეს თვითონ საქართველოს მეცნი-  
ერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ევგენი  
ნარაძემ გადასცა საპატიო ჯილდო.

ძია ნიანგი ქუდმონდილი უხდის მადლო-  
ბას თავის ნორჩ მემბტიანეს — ნინო შუ-  
ქრის ასულ ლომაძეს, ვინც ასეთი  
რუდუნებითა და სიყვარულით წარმოაჩინა  
მისი ღვაწლი — გააცნო ფართო საზოგადო-  
ებრიობას ქართული სატირისა და იუმორის  
მთავარი ფლავიანის შრომითი და საბრძო-  
ლო ტრადიციებით მდიდარი წარსული, და-  
ანახვა, რომ გამარჯვებას, სხვებთან ერთად,  
ხიშტად ქცეული ნიანგის კალამიც ჭედავდა!

P. S. ამჟამად ნინო ლომაძე თბილი-  
სის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფა-  
კულტეტის I კურსის სტუდენტია და ლაბო-  
რატორიულად აანალიზებს, თუ როგორ რე-  
აქციას ახდენს დღევანდელი „ნიანგი“ მკი-  
თხველებზე.

ოგადახარისხ ვიკარაი

ომში წასულნი ლხენის ვარდობით  
ოზელისკებალ დაბრუნდნენ გვიანს..  
ზოგი აქ შვებით დანავარდობდა,  
ვფარებოდა. ბილიეგებს ჭვიანს!

შინ შედიოდა ღამით ქურდულად,  
ღლისით ტყე-ღრეში ეძებდა ხვრელებს!  
ჩვენ კი მამულის კარებს ურდულად  
თელის ძელივით ვუყრიდით ხელებს!

ეს იყო ზურგში.. ეს იყო ზურგში, —  
ფრონტს რომ აძლევდა ყველაფერს  
თითქმის,  
ხოლო ფრონტებზე მებრძოლთა სულში  
რაც კი ხდებოდა, ლეგენდალ ითქმის!

მახსოვს მრავალთა შვილთა გმირობა,  
მათი დაჭრილი გულები მახსოვს!

მაგრამ არა და არ მაიწყდება, —  
თუმცა საცერში ფქვილივით გავცრით, —  
ვინც დაივიწყა თავდავიწყება —  
ბრძოლაში გასვლა შეტევით მკაცრით!

ის არ დაჭრილა, — ფიცხელ ბრძოლაში  
შეშინებული ვერაგს დანებდა,  
ღრო რომ გაპყავდა ერთი გასროლაში,  
მტერთა მოცეცხას აგვიანებდას..

მერე მიაგლო თოფი და ხიშტი,  
ცეცხლი შეწყვიტა, ურდოს გამლლობის..  
მას არ მოუკლავს ერთი ფაშისტიც,  
არც აუღია ერთი მადლობიც..


.. ბევრმა იწვინა კანონის რისხვა —  
გაღულახველის გადასალახბი,  
ვერ აიცლინა წყევლა და კრულვა  
და ვერც სამარე შავი — საქრახბი!

ჩვენ კი გმირობით და სიმამაცით  
გადავარჩინეთ მამულის ლიბო..  
აწი ვერასდროს ჩვენს ქვეყანაში  
წელიწადში შემოვა ფაშისტების კიბო!

სარგო მურაზიშვილი.

დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ნან. ი. ჩერეპანოვისა  
(ჟურნალი „კრკოლინი“)



გზვიდობის ლექსი

იუმორისკა

ომის „დე შერტი რს“ უნდა ვუთხრა  
ქებათა ქება, —  
უმორჩილება ვინაც მხოლოდ  
საკუთარ ნებას  
და არ მოელის სხვათაგან შევლას!

ოცნებებს ჩვენსას, მარადიულს,  
ვერარა წაშლის!  
კაცობრიობა შეინახავს  
მშვიდობას მაშინ,  
თუ „დე შერტი რს“ განდება ყველა!

ვერმან ჯგუჯურია

ქმარა!

ვერ შეგეგვინებთ ომის მუქარით,  
აგრესორებო, კმარა!  
ოცი მილიონი ვარსკვლავი  
ჩაგვიქრა! —  
არ დაივიწყებთ, არა!

ვეგეტარიანელ „გონიერ“  
ფიურერს  
გონება არ ეყო, არა!  
აღამიანის სისხლით თვრებოდა! —  
არ დაივიწყოთ, არა!

ვინც სისხლის ლოთია, მსოფლიოს  
ეყოფა,  
ზურგზე ხომ აწევს ბრალად!  
თვითონვე შეიწირა თავისი  
საუფლო! —  
ეს ისტორიად კმარა!

ბევრგან გაცივდა თბილი ბუხარი,  
ბევრმა ცრემლები ღვარა..  
ოცი მილიონის სიცოცხლეს  
მიგტირით! —  
ტყვილად ესეც კმარა!

დე, მომავალი ვაშენოთ მშვიდად,  
სიკეთე ვთესოთ მარად!  
კაცობრიობამ იცოცხლოს ლაღად!  
არ გვინდა ომი, არა!

დოდო ჯურაბიშვილი


საბჭოთა კავშირი, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო მშვიდობის დაცვაში ყველა სახელმწიფოს, მათი პარლამენტებისა და მთავრობების მაღალ მისიას, შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა მშვიდობისა და კაცობრიობის ბედისათვის, ყველა ხალხს, პარლამენტებსა და მთავრობებს მოუწოდებს მოუხმონ გონებას, აქტიური ერთობლივი მოქმედებით შეაჩერონ ბირთვული კატასტროფის უფსკრული საკენ დაქანება, გზა გადაუღლონ ახალ ომს; მიაღწიონ ბირთვული იარაღის სრულ ლიკვიდაციას.



საბჭოთა და თურქული  
 შურალი „ნიანგი“ № 12  
 (1624) ივანისი, გამოდის  
 1923 წლის ივნისიდან.

ნახ. 2. მორჩაძინა

არ დავუშვებთ ახალ ომს!



მთავარი რედაქტორი:  
 ზაურ გოლგვამი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე  
 ბართაია, ზორის გურგუ-  
 ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-  
 მალ ლოლოვა, ნოდარ მაღა-  
 ზონია (მხატვარ-რედაქტო-  
 რი), ალექსანდრე სამსონია,  
 ბეჟან სინარულიძე (მთავარი  
 რედაქტორის მოადგილე),  
 ჭანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
 წიფჩივაძე, ნაფი ჭუსოიძი.

ტექნიკური რედაქტორი  
 მიხეილ კუხალაშვილი

გადეცა ასაწყობად 24.5.  
 85 წ. ხელმოწერილია დასა-  
 ბეჭდად 21. 6. 85 წ. ქა-  
 ლიდის ზომა 60X90/4  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
 ლი 1,25, საირიცხვო-საგა-  
 მომცემლო თაბახი 1,9, სა-  
 ქართველოს კბ ცკ-ის გა-  
 მომცემლობა, ლენინის, 14.  
 შეკვეთა 1195 უე 05502  
 ტირაჟი 143.000 შურალი  
 გამოდის თვეში ორჯერ.  
 რედაქციაში შემოსული მა-  
 სალები ავტორებს არ უბ-  
 რუნდებათ.

ჩვენო მისამართი: 880008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაეების — 99-02-38,  
 მდივან — მემანქანის —  
 99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
 ский журнал «НИАН-  
 ГИ» (На грузинском  
 языке) Тбилиси, пр. Ру-  
 ставели № 42. Издаель-  
 ство ЦК КП Грузии,  
 типография издательства  
 ЦК КП Грузии, Тбили-  
 си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.  
 ინდექსი 76137



სატირიკო  
 ივანისი